მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №6

ქ. მარტვილი 7 ივლისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12[00] სთ-ზე, დამთავრდა 13[00]სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი და შესაბამისი დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კენჭისყრის შედეგად:
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია